განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

„საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით (№1324-რს 13.10.2017წ.) ტერმინი „სამხედრო ძალები“ შეიცვალა ტერმინით „თავდაცვის ძალები“, ამასთანავე, კონსტიტუცია ამკვიდრებს ტერმინებს „სახელმწიფო უსაფრთხოება“ და „საზოგადოებრივი უსაფრთხოება“. საქართველოს კონსტიტუციით ახლებურად დარეგულირდა და მთელი რიგი ახალი ნორმები იქნა გათვალისწინებული საომარი მდგომარეობის გამოცხადების, საომარი მდგომარეობის დროს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების შეზღუდვასა და შეჩერებასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ დეკრეტებისა და თავდაცვის ძალების გამოყენებისა და მოქმედებაში მოყვანის საკითხებთან მიმართებაში. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის რედაქციის მიხედვით საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას. საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სათათბირო ორგანო – ეროვნული თავდაცვის საბჭო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს **„საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.**

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს **კანონის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციასთან.**

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

- “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ” (№1324-რს 13.10.2017წ.) საქართველოს კონსტიტუციური კანონის 71-ე მუხლის მიხედვით საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში. ამასთანავე, კონსტიტუცია ამკვიდრებს ტერმინს ,,სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება’’, რაც გათვალისწინებულია ,,საომარი მდგომარეობის შესახებ’’ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის რედაქციაში.

- წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ახალი რედაქციით ყალიბდება „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი და შესაბამისობაში მოდის კონსტიტუციური კანონის 53-ე, 71-ე და 72-ე მუხლებთან. ამ მიზნით, კონსტიტუციური კანონის შესაბამისად დაზუსტდა საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტზე

თანახელმოწერის პროცედურა. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ბრძანებას ნაცვლად 48 საათისა დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტი შეკრებისთანავე ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებას საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. თუ პარლამენტი არ დაამტკიცებს აღნიშნულ ბრძანებას, იგი კენჭისყრისთანავე დაკარგავს იურიდიულ ძალას. გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ. საომარი მდგომარეობის დროს დეკრეტით შეიძლება თავდაცვის ძალებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების გაერთიანება.
საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს. დაზუსტდა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტზე თანახელმოწერის პროცედურა. დეკრეტები მოქმედებს საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დეკრეტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობით. დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. ამასთანავე, უფლებების შეზღუდვის შესახებ დეკრეტზე თანახელმოწერა ჩაითვლება აღნიშნული დეკრეტის გამოცემად და ძალაში შევა ამ მომენტიდან, ხოლო უფლებების შეჩერების შესახებ დეკრეტი ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე. დეკრეტის ტექსტი ძალაში შესვლის შემდგომ გადაიცემა მთელი დღის განმავლობაში და ცხადდება საქვეყნოდ ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით.

- წარმოდგენილი პროექტის მე-3 პუნქტით ცვლილება შედის „საომარი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლში, რომლის მიხედვითაც საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებაში უნდა აღინიშნოს საომარი მდგომარეობის გამოცხადების მოტივი. გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გაუქმების შესახებ მიიღება საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით და ცხადდება საქვეყნოდ.

- კონსტიტუციური კანონის მიხედვით უქმდება ეროვნული უშიშროების საბჭო. შესაბამისად, „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციიდან ამოღებულია ეროვნული უშიშროების საბჭო.

- კონსტიტუციური კანონის 73-ე მუხლის მიხედვით საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სათათბირო ორგანო-ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომლის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი უნდა განისაზღვროს კანონით. შესაბამისად, „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლს ემატება 4^1-4^3 მუხლები, რომლითაც განისაზღვრება ეროვნული თავდაცვის საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები.

- „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში სამხედრო ძალა შეიცვლება თავდაცვის ძალით და საომარი მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციის

და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საქართველოს თავდაცვის ძალების გამოყენება და მათი მოქმედებაში მოყვანა განხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

- „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის რედაქციიდან ამიღებულია ეროვნული უშიშროების საბჭო, ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით საქართველოს მთავრობას, შესაძლებელია დაეკისროს ვალდებულება დადგენილებით ადგილებზე შექმნას დროებითი ორგანოები ან/და კომენდანტი და განსაზღვროს მათი უფლებამოსილებანი.

- მე-14 მუხლში წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად თუ საომარი მდგომარეობის მოქმედების ადგილებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, რომელიც თანახელმოწერილია პრემიერ-მინისტრის მიერ, შეიძლება შემოღებულ იქნეს დროებითი მმართველობა, რითაც იგი საქართველოს მთავრობას დააკისრებს ვალდებულებას, დადგენილებით შექმნას მმართველობის განმახორციელებელი დროებითი ორგანო ან დანიშნოს თანამდებობის პირი და განსაზღვროს მათი უფლებამოსილებანი. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება დროებით შეჩერდება, ხოლო მათი ფუნქციების შესრულება დაეკისრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილ მმართველობის განმახორციელებელ დროებით ორგანოს ან დანიშნულ თანამდებობის პირს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.